მწვანე ალტერნატივა

გარემოსდაცვითი და სოციალური
სამართლიანობისთვის
საქართველოში

შენიშვნები და კომენტარები

სს „რუსთავის აზოტი“-ს ქიმიური საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილების პროექტის გზშ-ის ანგარიშის თაობაზე

25 ივლისი, 2025

წარმოგიდგენთ შენიშვნებსა და კომენტარებს გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე გამოქვეყნებულ სს „რუსთავის აზოტი“-ს ქიმიური საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილების პროექტის გზშ-ის ანგარიშზე.

1. სკოპინგის დასკვნის პირობების შეუსრულებლობა და საქმიანობის დანაწევრება

გზშ ანგარიშის თანახმად, გზშ მომზადებულია სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის 2024 წლის 19 დეკემბრის N714/ს ბრძანებით გაცემული N67 სკოპინგის დასკვნისა და გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის შესაბამისად.

თუმცა, შესავალშივე აღნიშნულია, რომ სს რუსთავის აზოტის მიერ წარდგენილი გზშ-ის ანგარიში განიხილავს მხოლოდ სკოპინგის ანგარიშსა და დასკვნაში განხილული დაგეგმილი საქმიანობის ნაწილს, “ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით გათვალისწინებული ყველა საქმიანობის დეტალური საპროექტო დოკუმენტაციის მომზადებისათვის საჭირო” დროის ხანგრძლივობის საბაბით. გზშ ანგარიშში განხილულია მხოლოდ შემდეგი პროექტები:

- ქიმიური საწარმოს ექსპლუატაციის პროცესში წარმოქმნილი საწარმოო ჩამდინარე წყლების გამწმენდი/აღმდგენი ნაგებობის მოწყობა;
- ქიმიური საწარმოს ექსპლუატაციის პროცესში წარმოქმნილი ურბანული ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის მოწყობა;
- ამიაკის სინთეზის საამქროსთან 2.03 მგვტ დადგმული სიმძლავრის ორთქლის ტურბინის მოწყობა.

შესაბამისად, გზშ-ის დოკუმენტი **არ განიხილავს** სკოპინგის ანგარიშში ჩამოთვლილ შემდეგ დაგეგმილ პროექტებს:

- 500 ათასი ტ/წელ წარმადობის შარდოვანას (კარბამიდი) საამქროს მოწყობა;
- ამიაკის N2 საამქროს რეაბილიტაცია წარმადობით 258.75 ტ/წელ;
- 5 000 ტ ტევადობის ამიაკის შესანახი ამიაკის შესანახი რეზერვუარის მოწყობა;
- 2X100TPH ბარი წნევის და 380C ტემპერატურის ქვაბ დანადგარების მოწყობა;
- 20 მგვტ დადგმული სიმძლავრის მზის ენერგიაზე მომუშავე ელექტროსადგურის მოწყობა;
- ნატრიუმის ციანიდის საამქროს მოდერნიზაცია/გადაიარაღება და წარმადობის 20 000 ტ/წელით გაზრდა.

greenalt@greenalt.org
www.greenalt.org

გზშ-ის ანგარიში, ასევე, არ განიხილავს დაბალი სიმკვრივის ამონიუმის ნიტრატის (ფოროვანი გვარჯილის) საწარმოო ხაზის მოწყობისა და ექსპლუატაციის საკითხს. სააგენტოს 2024 წლის 10 ოქტომბრის სკრინინგის გადაწყვეტილების (ბრძანება №581/ს) მიხედვით, საქმიანობა არ დაექვემდებარა გარემოზე ზემოქმედების შეფასებას. თუმცა სკოპინგის გადაწყვეტილებით, სს რუსთავის აზოტს დაევალა აღნიშნული საწარმოს შესახებ დეტალური ინფორმაციისა და კუმულაციური ზემოქმედების შესწავლა.

აღსანიშნავია, რომ საქმიანობები, რომლებიც არ არის გზშ-ის ანგარიშში განხილული, განსაკუთრებით დაბალი სიმკვრივის ამონიუმის ნიტრატის (ფოროვანი გვარჯილის) საწარმოო ხაზისა და შარდოვანას (კარბამიდი) საამქროს მოწყობა, ამიაკის N2 საამქროს რეაბილიტაცია და ნატრიუმის ციანიდის საამქროს მოდერნიზაცია/გადაიარაღება, გარემოსდაცვითი თვალსაზრისით გაცილებით მეტ რისკებთან არის დაკავშირებული.

2. უკანონო მშენებლობა და ფაქტების მიჩქმალვის მცდელობები

ერთი შეხედვით გაუგებარია, რატომ გადაწყვიტა სს რუსთავის აზოტმა, სკოპინგის დასკვნის პირობების დარღვევით, მოემზადებინა გზშ-ის ანგარიში მხოლოდ სამი დაგეგმილი პროექტის შესახებ. ამ პროექტების სხვა საქმიანობებისგან დამოუკიდებლად განხილვისთვის არანაირი გარემოსდაცვითი საფუძველი არ არსებობს.

თუმცა, სს რუსთავის აზოტის საწარმოო ტერიტორიის დათვალიერება ნათელს ფენს ამ საკითხს. კომპანია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებისა და სამშენებლო ნებართვის გარეშე უკვე აწარმოებს გზშ-ის ანგარიშში განხილული საწარმოო ნაგებობების მშენებლობას. ურბანული ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის მოწყობა უკვე დასრულებულია და მიმდინარეობს მისი ექსპლუატაცია. აღსანიშნავია, რომ გზშ-ის ანგარიშში საერთოდ არ არის ნახსენები მიმდინარე სამშენებლო საქმიანობა. შესაბამისად, გზშ-ის დოკუმენტი შეიცავს არაზუსტ ან შეცდომაში შემყვან მტკიცებებს.

N67 სკოპინგის დასკვნაში გარემოს ეროვნული სააგენტო აღნიშნავდა, რომ კომპანიამ, უნებართვოდ, უკვე შეასრულა ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში გათვალისწინებული სამუშაოების ნაწილი. ამ გარემოების გამო, სააგენტომ მიმართა გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს სამართლებრივი რეაგირების მიზნით. გზშ დოკუმენტის საჯარო განხილვისას, სააგენტოს წარმომადგენლმა დაადასტურა, რომ მათი მიმართვა უშუალოდ უკავშირდებოდა მოცემულ გზშ-ის ანგარიშში განხილულ საქმიანობებს. აღსანიშნავია, რომ კომპანიას დღემდე არ შეუწყვეტია უკანონო მშენებლობები, რაც სააგენტოსთვის გარემოზე ზედამხედველობის დეპარტამენტისადმი ხელახალი მიმართვის საფუძველი უნდა გახდეს.

ორთქლის ტურბინისთვის განკუთვნილი ნაგებობა

ურბანული ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობა

საწარმოო ჩამდინარე წყლების გამწმენდი/აღმდგენი ნაგებობა

რჩება შთაბეჭდილება, რომ გზშ-ის ანგარიში წარმოადგენს მიმდინარე უკანონო საქმიანობის სამართლებრივ ჩარჩოში მოქცევის მცდელობას და სხვა არანაირ პრაქტიკულ დანიშნულებას არ ემსახურება.

შემაშფოთებელია ისიც, რომ, როგორც გზშ-ის ანგარიშის განხილვისას გზშ-ის დოკუმენტის მომზადებაზე პასუხისმგებელი საკონსულტაციო კომპანიის წარმომადგენელმა აღნიშნა, **სს რუსთავის აზოტის წარმომადგენლები "იმყოფებოდნენ მინისტრთან თუ მინისტრის მოადგილესთან შეხვედრაზე შესაბამისი უწყებების ხელმძღვანელებთან ერთად", რათა შეეთანხმებინათ გზშ-ის ანგარიშშის დანაწევრებისა და მიმდინარე საქმიანობის შესახებ დამოუკიდებელი გზშ-ის დოკუმენტის მომზადების საკითხი.**

3. კუმულაციური ზეგავლენის შესწავლის შეუძლებლობა

გზშ-ის ანგარიშში კომპანიამ თვითნებურად შეარჩია გარკვეული საქმიანობები, რაც არ იძლევა საშუალებას ერთობლივად შეფასდეს სხვადასხვა საქმიანობის ჯამური (კუმულაციური) ზეგავლენა გარემოზე. ჯამური ზეგავლენის შეფასება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთ ინდუსტრიულ ზონებთან მიმართებით, როგორიცაა რუსთავი -- ერთ-ერთი ყველაზე დაბინძურებული არეალი საქართველოში.

გზშ-ის ანგარიშში აუცილებლად უნდა იყოს წარმოდგენილი ყველა მიმდინარე და დაგეგმილი მნიშვნელოვანი ქიმიური წარმოების (მათ შორის ფოროვანი გვარჯილის, შარდოვანას, ამიაკის N2, ნატრიუმის ციანიდის) დეტალური ანალიზი და მათი კუმულაციური ზეგავლენის შეფასება.

სს რუსთავის აზოტის მიერ დაბალი სიმკვრივის ამონიუმის ნიტრატის (ფოროვანი გვარჯილას) საწარმოო ხაზის მოწყობისა და ექსპლუატაციის საკითხის, მოდერნიზაციის სხვა პროექტებისგან განცალკევებით, ხოლო შემდგომ ეტაპზე გზშ-ის ანგარიშის მომზადება თვითნებურად შერჩეული საქმიანობებისთვის, შეუძლებელს ხდის სს რუსთავის აზოტის ქიმიური საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით გამოწვეული კუმულაციური ზეგავლენის შესწავლას.

4. ალტერნატივების ანალიზი

საპროექტო დოკუმენტაციაში არ არის სიღრმისეულად განხილული ყველა გონივრული ალტერნატივა, გარდა ნულოვანი და ზოგადი ალტერნატივებისა. დოკუმენტი არ მოიცავს როგორც ტექნოლოგიური, ასევე ლოკაციისა და დიზაინის ალტერნატივების შესახებ ინფორმაციას.

შესაბამისად, პროექტი არ გულისხმობს საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნოლოგიების (BAT) ინსტრუმენტების, პროცესების და მართვის სისტემების დანერგვას, რაც მოთხოვნილია ევროკავშირის მიერ და განსაზღვრულია მათ შორის EBRD/IFC-ის მოთხოვნებით. ამ შემთხვევაში, გზშ-ის ანგარიშში უნდა იყოს მითითებები Large Volume Inorganic Chemicals – Ammonia, Acids and Fertilisers LVIC-AAF BREF-თან და იმ საუკეთესო ხელმისაწვდომ ტექნოლოგიებთან (BAT), რომელსაც იყენებს პროექტი. ეს ყოველივე, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მიმდინარე ინტეგრირებული ნებართვების დანერგვის პროცესში.

ქიმიური საწარმოს ექსპლუატაციის პროცესში წარმოქმნილი საწარმოო ჩამდინარე წყლების გამწმენდი/აღმდგენი ნაგებობის შესახებ მომზადებულ ქვეთავში (თავი 4.2.2) არაა განხილული რატომ შეირჩა ჩამდინარე წყლების ეს სისტემა, არც გამწმენდი ნაგებობის ტიპი და გაწმენდილი წყლის მაჩვენებლები; ნორმები შედარებულია ეროვნულ ნორმებთან, მაგრამ არ ხსნის კავშირს საუკეთესო ხელმისაწვდომ ტექნოლოგიებთან, მონიტორინგი პერიოდულია და არა მუდმივი.

გარემოსდაცვითი თვალსაზრისით ძირითადი რისკის შემცველი, დაგეგმილი საქმიანობების (შარდოვანას (კარბამიდი) საამქროს მოწყობა, ამიაკის N2 საამქროს რეაბილიტაცია და ნატრიუმის ციანიდის საამქროს მოდერნიზაცია/გადაიარაღება) განხორციელებისთვის საჭირო საპროექტო დოკუმენტაციის არ არსებობის პირობებში, გაუგებარია როგორ შეიძლება პროექტის განმახორციელებელი ფლობდეს სრულყოფილ ინფორმაციას წარმოქმნილი ჩამდინარე წყლების ქიმიური შემადგენლობისა და რაოდენობის შესახებ და გზშ-ში განიხილავდეს ქიმიური საწარმოს ექსპლუატაციის პროცესში წარმოქმნილი საწარმოო ჩამდინარე წყლების გამწმენდი/აღმდგენი ნაგებობის მოწყობის საკითხს.

5. ზემოქმედება ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე

ატმოსფერული ჰაერის ხარისხის შესახებ ინფორმაცია (გზშ-ის დოკუმენტის 6.3 თავი) არ შეიცავს სრულყოფილ და საკმარის ინფორმაციას ჰაერის ხარისხის მონიტორინგის პროცესის შესახებ. შედეგად, იგი ვერ უზრუნველყოფს პროექტის ექსპლუატაციის ეტაპზე გარემოსა და მოსახლეობაზე შესაძლო უარყოფითი ზემოქმედების თავიდან აცილებას ან მის ეფექტიან მართვას. დოკუმენტის 6.3.2–6.3.6 ქვეთავებში წარმოდგენილი გარემოზე ზემოქმედებების შეფასება უმეტესად აღწერითია და ეფუძნება თეორიულ ან საპროექტო მონაცემებს, რის გამოც რეალური ზემოქმედების მასშტაბი და მოსახლეობის წინაშე არსებული რისკები სრულად არ ჩანს. არ არის ჩატარებული ატმოსფერული დაბინძურების თანამედროვე მოდელირება (მაგალითად, AERMOD ან ანალოგიური პროგრამებით), არ არის გაანგარიშებული დაბინძურების გავრცელება სხვადასხვა მეტეოროლოგიურ პირობებში და არ არის წარმოდგენილი მოსახლეობაზე ზემოქმედების სივრცული ანალიზი.[1]

[1] არასრულყოფილია, გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი მეთოდოლოგიით წარმოებული გაანგარიშებებიც, რომლებიც ეხება სს რუსთავის აზოტის ქიმიური საწარმოს ფუნქციონირებას საშტატო რეჟიმში მეზობელი საწარმოების გაფრქვევების ფონური დაბინძურების გათვალისწინებით. ამ გაანგარიშებებში, რომლებმაც უნდა შეისწავლოს როგორც უახლოესი საცხოვრებელი სახლების, ასევე 500 მ-ნი ნორმირებული ზონის მიმართ, ჰაერის ხარისხი და მიღებული გაფრქვევები, გათვალისწინებულია მხოლოდ 500 მ-ნი ნორმირებული ზონაში მდებარე მხოლოდ ორი საწარმო შპს „მნ ქემიკალ“ და შპს „სულფეკო“, მაშინ როცა ამ ზონაში, გზშ-ის ანგარიშის თანახმად, სულ მცირე ხვდება შემდეგი საწარმოები: პს „ვირტუოზს“, შპს „მადაგონი 2“-ს, შპს „ბაზალტ ფაიბერსს“, შპს „ტესტა პეტროლიუმს“, შპს „ენერგო პრო ჯორჯიას“, შპს „საქართველოს ბუნებრივი გაზის გადამცემი ქსელის მესაკუთრეს“ და შპს „სკინდორსს“ - საწარმოები, რომელთაც შეთანხმებული ჰაერდაცვითი დოკუმენტაცია არ გააჩნია.

შესაბამისად, დასკვნა, რომ რუსთავის აზოტის ქიმიური საწარმოს ფუნქციონირება საშტატო რეჟიმში მეზობელი საწარმოების (შპს „მნ ქემიკალ“ და შპს „სულფეკო“) გაფრქვევების ფონური დაბინძურების გათვალისწინებით, როგორც უახლოესი საცხოვრებელი სახლების, ასევე 500 მ-ნი ნორმირებული ზონის მიმართ, “არ გამოიწვევს ჰაერის ხარისხის გაუარესებას და მიღებული გაფრქვევები შესაძლებელია დაკვალიფიცირდეს როგორც ზღვრულად დასაშვები გაფრქვევები” ანგარიშში დადასტურებული არაა.

ამასთან, 6.3.7 თავის ცხრილი, რომელიც აღწერს სხვადასხვა საკონტროლო წერტილში (დასახლებული პუნქტის საზღვარი, 500 მ რადიუსი) დაფიქსირებული დამაბინძურებლების მაქსიმალური კონცენტრაციების ზდკ-წილებში, არ განსაზღვრავს თვითონ, საწარმოდან უშუალოდ გაფრქვეული მავნე ნივთიერებების რაოდენობას (mg/Nm³ ან t/წელიწადში), არამედ მხოლოდ გარემოში მიღებულ შედეგებს, რაც შესაძლებელია მიღებული იყოს განიავების ან დიფუზიის შედეგად. ასევე არ ჩანს, რამდენად შეესაბამება საწარმოოს გაფრქვევის მაჩვენებელები BAT-ის ზღვრულ მაჩვენებლებს, რა სახის სისტემებს გამოყენება ხდება, როგორია მტვერის ფილტრები და ა.შ. არაა აღწერილი საწარმოს არსებული მონიტორინგის სისტემა.

ამასთან, ზემოქმედების შერბილებისთვის მომზადებული მონიტორინგის გეგმა ზედაპირულია, არ არის განსაზღვრული მუდმივი მონიტორინგი. წარმოდგენილია მხოლოდ პერიოდული მონიტორინგის შესახებ ინფორმაცია და ისიც შეზღუდულია თავისი მოცულობითა და შინაარსით. გარდა ამისა, არ არის გათვალისწინებული მონაცემების საჯაროობის მექანიზმები და რეაგირების კონკრეტული პროცედურები ნორმების გადაჭარბების შემთხვევაში.

ანალოგიურად არასრულყოფილია გზშ-ის ანგარიშში აღწერილი ზემოქმედება აკუსტიკურ ფონზე და ვიბრაციის გავრცელებაზე.

6. უსიამოვნო მძაფრი სუნის გავრცელების რისკები

გზშ-ის ანგარიშში საერთოდ არ არის საუბარი საწარმოს ექსპლუატაციის პროცესში უსიამოვნო სუნისა და მისი გავრცელების რისკების შესახებ. შესაბამისად, არ არის განხილული მიტიგაციის ღონისძიებები.

7. ჯანმრთელობაზე ზემოქმედების რისკები

ქვეთავი ადამიანის ჯანმრთელობაზე ზემოქმედების შესახებ (ქვეთავი 6.9) არ მოიცავს ინფორმაციას პროექტის განხორციელების შედეგად, მოსახლეობის ჯანმრთელობის რისკებისა და შესაძლო შემარბილებელი მექანიზმების შესახებ. გზშ-ის ანგარიშში არაა განხილული მოსახლეობის შესაძლო ექსპოზიცია დამაბინძურებელების მიმართ, არ ხდება გაფრქვევების ნორმების შედარება ჯანმრთელობის საერთაშორისო ნორმებთან (WHO, EU, საქართველოს სტანდარტები) ოპერირების და ავარიული სიტუაციების დროს. ამავდროულად, არაა განსაზღვრული მოწყვლადი ჯგუფები (ბავშვები, მოხუცები, ქრონიკული დაავადების მქონე პირები).

ჯანმრთელობის მდგომარეობის აღწერა რეგიონში მოქცეულია ჯანმრთელობის დაცვის შესახებ მომზადებულ ქვეთავში (5.2.6.3), სადაც ზედაპირულად არის აღნიშნული რუსთავის მუნიციპალიტეტში დასაქმებული ექიმებისა და ექთნების რაოდენობა, პერსონალის რიცხოვნობა 1000 კაცზე, საავადმყოფოების, საწოლებისა და ამბულატორიულ-პოლიკლინიკური დაწესებულების რაოდენობა. შესაბამისად, არაა წარმოდგენილი რეგიონში მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ არსებული სტატისტიკა, რაც მნიშვნელოვანია საწყისი მდგომარეობის განსასაზღვრად.

შერბილების ღონისძიებებში, საერთოდ არაა შემუშავებული გრძელვადიანი ჯანმრთელობის მონიტორინგის გეგმა (მაგალითად, რეგულარული გამოკვლევები, საყურადღებო ჯგუფების დაკვირვება). დეტალურად არ არის განხილული საწარმოს ავარიების დროს მოსახლეობის ჯანმრთელობაზე გავლენა (მაგალითად, რა მოხდება ამიაკის ან სხვა ქიმიური ნივთიერების მასიური გაფრქვევის შედეგად).

ამასთან, ჰაერის ხარისხისა თუ წყლის გაწმენდის შედეგად წარმოქმნილი ნარჩენების ზემოქმედების შერბილებისთვის წარმოდგენილი მონიტორინგის გეგმა ზედაპირულია, არ არის განსაზღვრული მუდმივი მონიტორინგი, მონაცემების საჯაროობის მექანიზმები და რეაგირების კონკრეტული პროცედურები ნორმების გადაჭარბების შემთხვევაში.

ჯანმრთელობასთან მიმართებით, გზშ-ის ანგარიში ვერ აკმაყოფილებს საერთაშორისო მოთხოვნებს (IFC, EBRD, ევროკავშირის დირექტივები, WHO-ს სახელმძღვანელოები) გარემოზე ზემოქმედების შეფასების, რისკების ანალიზისა და მოსახლეობის ინფორმირების მიმართულებით.

8. საზოგადოების ინფორმირებულობა და საჯარო განხილვა

გზშ-ის ანგარიშის საჯარო განხილვა გაიმართა 2025 წლის 22 ივლისს ქალაქ რუსთავის მერიის შენობაში. აღსანიშნავია, რომ საჯარო განხილვას არ ესწრებოდა არც ერთი ადგილობრივი, რაც მიუთითებს, რომ ინფორმაცია განხილვის შესახებ არ იყო სათანადოდ გავრცელებული.

მიუხედავად იმისა, რომ პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული უახლოესი დასახლებული პუნქტი სოფელი თაზაქენდია, აქ საჯარო განხილვა საერთოდ არ ჩატარებულა. აღსანიშნავია, რომ სოფლის მოსახლეობამ საერთოდ არ იცოდა ქალაქ რუსთავში დაგეგმილი საჯარო განხილვის შესახებაც.

სოფელ თაზაქენდში დამატებითი საჯარო შეხვედრის ჩატარების აუცილებლობა, რამდენიმე მიზეზით არის განპირობებული: ეს არის არამხოლოდ პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული უახლოესი დასახლებული პუნქტი, არამედ სოფელი, რომელიც უშუალოდ ემიჯნება რუსთავის ინდუსტრიულ ზონას. სს რუსთავის აზოტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცესში აუცილებელია ადგილობრივმა მოსახლეობამ მიიღოს ინფორმაცია დაგეგმილი საქმიანობების, ასევე შესაძლო რისკების შესახებ და ჩართული იყოს შემარბილებელი ღონისძიებების განსაზღვრის პროცესში. გარდა ამისა, ადგილობრივები ფლობენ მნიშვნელოვან ინფორმაციას, როგორც სს რუსთავის აზოტის, ასევე რუსთავის ინდუსტრიულ ზონაში, სოფლის სიახლოვეს, არსებული საწარმოების საქმიანობის შესახებ. მაგალითად, ადგილობრივები საუბრობენ ჯანმრთელობის პრობლემებზე, ქრონიკულ დაავადებებზე, რომლებიც განსაკუთრებით ბავშვებსა და მოხუცებს აწუხებთ საწარმოების მიერ მავნე ნივთიერებების გაფრქვევების ფონზე. ისინი უჩივიან ცემენტის ქარხნებიდან მომდინარე მტვერსა და ღამის საათებში ქიმიური საწარმოებიდან მომდინარე უსიამოვნო მყრალ სუნს, რომელსაც ისინი ლაყე კვერცხის ან წამლის მკვეთრ სუნს ადარებენ.

9. დასკვნა

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან ნათელია, რომ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღებისათვის წარმოდგენილი დოკუმენტები არ აკმაყოფილებს გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით დადგენილ მოთხოვნებს. სკოპინგის დასკვნით განსაზღვრული საკითხები არ არის გზშ-ის ანგარიშში ასახული. შესაბამისად, დაუშვებელია საქმიანობაზე გაიცეს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება.